

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შეიცავს 31 დავალებას.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 35.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

თეორიული ნაწილი

დავალება 1

რომელი მოქმედების შესრულება არის შეუძლებელი სტუმრის (Guest) მომხმარებლის ანგარიშზე?

- ა) სურათის შეცვლა;
- ბ) პაროლით დაცვა;
- გ) ფაილების ჩამოტვირთვა და ატვირთვა;
- დ) მომხმარებლისათვის ადმინისტრატორის უფლების მინიჭება.

დავალება 2

დისკის დეფრაგმენტაციის ხარისხის განსაზღვრისათვის გამოიყენება:

- ა) ბრძანება Configure shedule;
- ბ) ბრძანება Analyze disk;
- გ) უტილიტი Disk Management;
- დ) უტილიტი Disk Cleanup.

დავალება 3

Windows ოპერაციულ სისტემაში, საქაღალდეში მონიშნული ობიექტი არ წაიშლება:

- ა) კონტექსტური მენიუდან Delete ბრძანებით;
- ბ) კლავიატურის Delete კლავიშით;
- გ) კლავიშთა კომბინაცია Ctrl+Delete-ით;
- დ) კლავიშთა კომბინაცია Shift+Delete-ით.

დავალება 4

Mouse Properties დიალოგური ფანჯრის Buttons ჩანართის Switch primary and secondary buttons ოფციის ჩართვა/გამორთვის საშუალებით:

- ა) განისაზღვრება მაუსის გადაადგილების სიჩქარე;
- ბ) მაუსის ღილაკების ფუნქციას შეითავსებს კლავიატურა;
- გ) მაუსის მარჯვენა და მარცხენა ღილაკები ფუნქციებს უცვლიან ერთმანეთს;
- დ) მაუსი იმუშავებს ორჯერ დაწკაპუნების რეჟიმში.

დავალება 5

როგორ დავათვალიეროთ ინტერნეტში მოთავსებული ვებგვერდის HTML კოდი (დამალული კოდი)?

- ა) შესაძლებელია Home მენიუდან View source ბრძანების გამოყენებით;
- ბ) შესაძლებელი კონტექსტური მენიუდან View page source ბრძანების გამოყენებით;
- გ) შეუძლებელია, რადგან გვერდი ავტორის საკუთრებაა;
- დ) შეუძლებელია, რადგან კოდი ცალკე ფაილში იწერება და იგი არ იტვირთება ინტერნეტში.

დავალება 6

Windows ოპერაციულ სისტემაში ბრძანებით Repair your computer შესაძლებელი ხდება:

- ა) ფაილების სარეზერვო ასლის შექმნა;
- ბ) ლოგიკური დისკის დაფორმატება;
- გ) ოპერაციული სისტემის დაზიანებული კომპონენტების აღდგენა;
- დ) ოპერაციული სისტემის თავიდან დაყენება.

დავალება 7

Windows ოპერაციულ სისტემაში რას უწოდებენ უტილიტს?

- ა) პროგრამებს, რომლებიც ოპერაციულ სისტემას სჭირდება რაიმე კონკრეტული დავალების შესასრულებლად;
- ბ) მოწყობილობას, რომელიც გამოიყენება რაიმე დავალების შესასრულებლად;
- გ) პროგრამებს, რომელიც მომხმარებელს სჭირდება რაიმე კონკრეტული გამოთვლების შესასრულებლად;
- დ) გამოყენებით პროგრამას.

დავალება 8

საქალაქდემში მოთავსებული ინფორმაცია შეგვიძლია სხვადასხვა სახით წარმოვადგინოთ. ამისთვის გამოიყენება Views (ხედები) ღილაკი. ფაილის შესახებ რა ინფორმაციის ასახვა არის შეუძლებელი, თუ Details თვისებას/ასახვის რეჟიმს მივუთითებთ:

- ა) ფაილის ზომა;
- ბ) ფაილის ტიპი;
- გ) ფაილის შექმნის თარიღი;
- დ) ცვლილების შეტანის თარიღი.

დავალება 9

რა ტიპის პროგრამაა Task Scheduler?

- ა) სამომხმარებლო პროგრამა;
- ბ) უტილიტი;
- გ) ოპერაციული სისტემა;
- დ) დრაივერი.

დავალება 10

Windows ოპერაციულ სისტემაში კლავიატურის რომელი ფუნქციონალური ღილაკით არის შესაძლებელი ფაილის ან საქაღალდისათვის სახელის გადარქმევა?

- ა) F4;
- ბ) F3;
- გ) F2;
- დ) F6.

დავალება 11

თვლის თექვსმეტობით სისტემაში ჩაწერილ რიცხვს - **2A** - ათობით სისტემაში შეესაბამება რიცხვი:

- ა) 210;
- ბ) 20;
- გ) 42;
- დ) 32.

დავალება 12

ვიდეოადაპტერი მონიტორს, პროექტორს, ტელევიზორს ფიზიკურად უერთდება მასზე არსებული პორტების საშუალებით. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ვიდეოადაპტერის პორტი?

- ა) VGA;
- ბ) DVI;
- გ) HDMI;
- დ) VHD.

დავალება 13

ბლუთუზი (Bluetooth) არის:

- ა) მონაცემთა შენახვის ზესწრაფი მეხსიერება;
- ბ) მონაცემთა გადაცემის უსადენო ტექნოლოგია;
- გ) პროგრამების და მონაცემის შენახვის მუდმივი მეხსიერება;
- დ) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებით მონაცემთა გადაცემის ტექნოლოგია.

დავალება 14

Driver არის:

- ა) სპეციალური პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს კომპიუტერს მართოს თავისი შემადგენელი მოწყობილობები;
- ბ) პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს კომპიუტერს, მართოს ოპერატიული მეხსიერება;
- გ) წესების ერთობლიობა ინტერნეტში ინფორმაციის გასაგზავნად და მისაღებად;
- დ) ელექტრონული ჩიპი, რომელიც ყურსასმენებს დედაპლათასთან აერთებს.

დავალება 15

განაწილებულ სისტემაში (Distributed system) კომპიუტერები დაკავშირებულია:

- ა) ოპერაციული სისტემით;
- ბ) მეხსიერებით;
- გ) ქსელური ინფრასტრუქტურით;
- დ) ფაილთა სისტემით.

დავალება 16

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის პერსონალური კომპიუტერი?

- ა) Palmtop;
- ბ) Laptop;
- გ) Mainframe;
- დ) Tablet.

დავალება 17

სად არის მოთავსებული ოპერატიული მეხსიერების მოდული?

- ა) დედაპლატაზე;
- ბ) BIOS-ში;
- გ) პროცესორში;
- დ) ვინჩესტერში.

დავალება 18

ცენტრალურ პროცესორთან მიმართებაში რომელი დებულებაა სწორი?

- ა) პროცესორის სწრაფქმედება დამოკიდებულია მხოლოდ მის ტაქტურ სიხშირეზე;
- ბ) პროცესორის სწრაფქმედება დამოკიდებულია მხოლოდ მის არქიტექტურაზე;
- გ) პროცესორის სწრაფქმედება დამოკიდებულია როგორც მის ტაქტურ სიხშირეზე, ასევე მის არქიტექტურაზე;
- დ) პროცესორის სწრაფქმედება არ არის დამოკიდებული არც მის ტაქტურ სიხშირეზე და არც მის არქიტექტურაზე.

დავალება 19

მყარ დისკზე (HDD) ცილინდრებად ერთიანდება:

- ა) ყველა დისკის ზედაპირზე ბრუნვის ცენტრიდან თანაბრად დაშორებული ბილიკები;
- ბ) გვერდიგვერდ განლაგებული სექტორები;
- გ) ყველა დისკის ზედაპირზე ბრუნვის ცენტრიდან დაშორებული სექტორები;
- დ) კლასტერებად გაერთიანებული ბილიკები.

დავალება 20

რომელი ტიპის მეხსიერებასთან აწარმოებს პროცესორი მონაცემთა გაცვლას?

- ა) ვინჩესტერთან;
- ბ) ოპერატიულ მეხსიერებასთან;
- გ) მუდმივ მეხსიერებასთან;
- დ) კომპაქტ-დისკთან.

დავალება 21

ქვემოთ ჩამოთვლილია ოთხი დებულება ლაზერული და ჭავლური პრინტერების შესახებ. მათგან სამი ჭეშმარიტია, ხოლო ერთი - მცდარი. რომელი მსჯელობაა მცდარი?

- ა) ჭავლურ პრინტერში გამოიყენება თხევადი საღებავები და ქაღალდზე დაიტანება კარტრიჯიდან ჭავლის მეშვეობით;
- ბ) სახარჯი მასალები და მუშაობის პრინციპი განსხვავებულია;
- გ) ლაზერულ პრინტერში გამოიყენება ფხვიერი საღებავი, რომელიც ელექტრო ველით გადადის ქაღალდზე;
- დ) ჭავლური პრინტერით საოფისე დოკუმენტების ბეჭდვისას პროდუქტი უფრო დაბალი ღირებულებით და მაღალი ხარისხით გამოირჩევა, ვიდრე ლაზერული პრინტერით ბეჭდვისას.

დავალება 22

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელს შეიცავს BIOS-ი:

- I. მოწყობილობების ტესტირების პროგრამას
- II. ოპერაციული სისტემის ჩამტვირთავს
- III. სამომხმარებლო პროგრამებს

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ II და III;

გ) მხოლოდ II;

დ) მხოლოდ III.

დავალება 23

ქვემოთ ჩამოთვლილი პარამეტრებიდან:

- I. ოპერატიულ მეხსიერებასთან მუშაობის სისწრაფე
- II. ტაქტური სიხშირე
- III. ბირთვების რაოდენობა

რომელი არ არის პროცესორის მახასიათებელი?

- ა) მხოლოდ I და II;
- ბ) მხოლოდ II და III;
- გ) მხოლოდ I;
- დ) მხოლოდ II.

დავალება 24

მყარ დისკზე (HDD) ინფორმაციის ჩაწერა/წაკითხვა ხორციელდება მისი შემადგენელი დისკების (ფორფიტების):

- ა) ზედა ზედაპირზე;
- ბ) ორივე ზედაპირზე;
- გ) ქვედა ზედაპირზე;
- დ) ზედა ზედაპირის გარე ბილიკებზე.

დავალება 25

Switch მოწყობილობის დანიშნულებაა:

- ა) რამდენიმე კომპიუტერის ერთ ლოკალურ ქსელში გაერთიანება;
- ბ) რამდენიმე ლოკალური ქსელის ერთმანეთთან დაკავშირება;
- გ) ლოკალური ქსელისათვის ინტერნეტის უკაბელოდ მიწოდება;
- დ) კომპიუტერიდან კომპიუტერში ან მობილურიდან კომპიუტერში ინფორმაციის გადაწერა.

დავალება 26

რომელი მსჯელობაა სწორი firewall-ის შესახებ?

- ა) firewall არის ქსელში ინფორმაციის ძებნის პროტოკოლი;
- ბ) firewall ნებას რთავს მხოლოდ ავტორიზებულ კავშირს, როგორც ქსელის შიგნიდან გამავალ პაკეტებზე, ასევე ქსელში შემავალ პაკეტებზე;
- გ) firewall მართავს დისკზე ჩაწერილ ინფორმაციას;
- დ) firewall აკონტროლებს ინტერნეტში საძიებო ფრაზების სინტაქსს.

დავალება 27

საძიებო სისტემაში ზუსტი ფრაზის მოსაძებნად საჭიროა ეს ფრაზა:

- ა) ჩავსვათ ბრჭყალებში;
- ბ) ჩავსვათ ფრჩხილებში;
- გ) ჩავსვათ < > სიმბოლოებში;
- დ) ჩავსვათ ფიგურულ ფრჩხილებში.

დავალება 28

Google Drive სივრცეში თქვენ მიერ ატვირთული ან შექმნილი ფაილი/საქაღალდე შეგიძლიათ გააზიაროთ ინტერნეტ სივრცეში შესაბამისი ბმულის მეშვეობით.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს გაზიარების რეჟიმს?

- ა) Can Edit - გაზიარება რედაქტირების უფლებით;
- ბ) Can Comment - გაზიარება კომენტარების შექმნის უფლებით;
- გ) Can Update - გაზიარება მხოლოდ განახლების უფლებით;
- დ) Can View - გაზიარება მხოლოდ დათვალიერების უფლებით.

დავალება 29

მაქსიმალური ქულა - 2

ჩამოაყალიბეთ Cache მეხსიერების განმარტება და დანიშნულება. რა განაპირობებს Cache მეხსიერების ეფექტურობას?

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#)

დავალება 30

მაქსიმალური ქულა - 2

განმარტეთ ინფორმაციის დაარქივების არსი. რა შემთხვევაში მივმართავთ არქივაციას? აღწერეთ რა დამატებითი ფუნქციების შესრულება შეიძლება დაარქივების პროცესში.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#)

დავალება 31

მაქსიმალური ქულა - 3

დედაპლატა (Motherboard) წარმოადგენს კომპიუტერის მნიშვნელოვან მოწყობილობას და აკავშირებს აპარატურული (Hardware) უზრუნველყოფის შიდა კომპონენტებს ერთმანეთთან. განასხვავებენ დედაპლატის ორ ძირითად ტიპს - ინტეგრირებულ და არააინტეგრირებულს.

დაასახელეთ, რა ტიპის მოწყობილობები შეიძლება იყოს ინტეგრირებული სისტემურ პლატაზე;

მიუთითეთ, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება ჰქონდეს ინტეგრირებულ სისტემურ პლატას.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#)